

სსიპ ქ. ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა



კვლევითი ნაშრომი

საგაკვეთილო პროცესში ონლაინ რესურსების გამოყენება

ავტორი: ნანა გრძელიძე

ინგლისური ენის მასწავლებელი

2017-2018 სასწ.წელი

ქ.ბათუმი

სარჩევი

1.შესავალი -----4

თავი 1 ----- 5

საკვლევი მასალის მიმოხილვა

1.1. მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ

1.2.საკვლევითი პროცესში ონლაინ რესურსების გამოყენება და მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები

1.3 პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები

1.4 კვლევის მიზანი

1.5 კვლევის ამოცანა

თავი 2 ----- 6

პრაქტიკული კვლევის არსი

თავი 3 ----- 7

ლიტერატურის მიმოხილვა

3.1 რატომ უნდა გამოვიყენოთ საკვლევით ონლაინ რესურსი

3.2 ონლაინ რესურსი დადებითი და უარყოფითი მხარეები

3.3 ონლაინ რესურსების გამოყენება უცხოელი მასწავლებლის მიერ

3.4 საკვლევითის შესწავლა

თავი 4 ----- 14

მეთოდოლოგია

4.1 პროექტის სამიზნე ჯგუფი

4.2 შერჩევა

4.3 მონაცემების შეგროვება

4.4 პროექტის მონაწილე მხარეები და მათი პასუხისმგებლობები

4.5 პროექტის ვადები

თავი 5 -----20

კვლევის შედეგები

5.1 გამოკითხვის შედეგების ანალიზი

5.2 მეორადი მონაცემების ანალიზი

თავი 6 -----21

ინტერვენციის აღწერა და მისი შედეგები

6.1 ინტერვენცია

6.2 ინტერვენციის შეფასების მეთოდები

6.3 ინტერვენციის შედეგები

6.4 ინტერვენციის შეფასება - კვლევის ჯგუფი

თავი 7 -----23

მიგნებები, რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანებები

7.1 მიგნებები

7.2 რეკომენდაციები

7.3 თვითკრიტიკა

დასკვნა ----- 25

გამოყენებული ლიტერატურა ----- 26

კითხვარი პედაგოგებისათვის ----- 27

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ბათუმის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს. კვლევა განვახორციელე ამავე სკოლის რამდენიმე პედაგოგის დახმარებით. აღნიშნული კვლევის მიზანი იყო საგაკვეთილო პროცესში ონლაინ რესურსების გამოყენება და მათთან დაკავშირებული პრობლემები. ნაშრომი შედგება 7 თავისაგან. 1 თავში მოცემულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, საკვლევი საკითხის მიმოხილვა, კვლევის მიზანი და ამოცანები. 2 თავი ეხება პრაქტიკული კვლევას და სკოლაში მის დანერგვას. 3 თავში მოცემულია სხვადასხვა ავტორის მოსაზრებები ონლაინ რესურსების საგაკვეთილო პროცესში გამოყენების დადებით და უარყოფით მხარეებზე. 4 თავი მოიცავს ინფორმაციას კვლევის მეთოდოლოგიისა და პროექტის ვადების შესახებ. 5 თავი ეხება კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების ანალიზს. 6 თავში განხილულია ინტერვენციის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ეტაპები. 7 თავში აღწერილია კვლევის ჯგუფის მიგნებები, რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანებები.

თავი 1.

საკვლევი საკითხის მიმოხილვა.

1.1 მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ.

სსიპ ქ.ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლაში სწავლობს 848 მოსწავლე. სკოლაში მუშაობს 48 მასწავლებელი. მასწავლებელთა 72% მუშაობს სრულ განაკვეთზე. სკოლას ჰყავს 90% სრული სერტიფიცირებული მასწავლებელი და 10% პრაქტიკოსი მასწავლებელი. თანამშრომლობის ფარგლებში პედაგოგები გადიან სხვადასხვა სახის ტრენინგებს. სკოლა ნაწილობრივ აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც, ადმინისტრაციის მოსაზრებით საშუალებას იძლევა სწავლა-სწავლების პროცესი წარიმართოს ხარისხიანად.

1.2 .საგაკვეთილო პროცესში ონლაინ რესურსების გამოყენება და მათთან დაკავშირებული პრობლემები.

სასწავლო პროცესში ონლაინ რესურსების გამოყენებას რამდენიმე მნიშვნელოვანი მხარე აქვს, კერძოდ:

- ონლაინ რესურსების გამოყენება ხელს უწყობს საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას, განსაკუთრებით იმ სასწავლო დისციპლინებში, რომლებიც ისწავლება ინტეგრირებულად.
- ონლაინ რესურსების გამოყენება ხელს უწყობს შემოქმედობითობისა და ინოვაციური მიდგომების გამოყენებას, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია პრობლემებზე დაფუძნებული კონსტრუქტივისტული საკლასო გარემოს შესაქმნელად.
- ონლაინ რესურსების გამოყენებამ შესაძლებელია შეუწყოს ხელი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უნარ-ჩვევების განვითარებას, როგორცაა ინფორმაციის გააზრებისა და ერთი ფორმატიდან მეორეში გადაყვანის უნარი (მაგალითად: ტექსტური მასალისათვის გრაფიკული გამოსახულების შერჩევა და პირიქით; სიტყვიერად აღწერილი რაოდენობრივი ინფორმაციის გამოსახვა და პირიქით); სივრცული წარმოდგენა; თანამშრომლობის უნარი; სამუშაო სივრცის მომზადებისა და საჭირო საშუალებების შერჩევის უნარი.

1.3. სასწავლო პროცესში ონლაინ რესურსების გამოყენებას რამდენიმე სირთულეც ახლავს, კერძოდ:

- ზოგიერთ მასწავლებელს აქვს ელემენტარული კომპიუტერული პროგრამების გამოყენების პრობლემა.
- სკოლა ნაწილობრივ არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით, ხოლო საწავლო პროცესში ონლაინ რესურსების გამოყენება მოთხოვს თითოეული საკლასო ოთახის სრულ კომპიუტერიზაციას (ინტერნეტ წვდომა)

1.4 კვლევის მიზანი:

რა შეიძლება იყოს დღეს უფრო ეფექტური და ხელმისაწვდომი, ვიდრე სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება? თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით , მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა არა მხოლოდ უკეთ გაერკვეს საჭიროების არსში, არამედ მიაგნოს ინოვაციურ მეთოდებს და ამით ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სხვადასხვა უნარების განვითარებას და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და მათ სტიმულირებას სასწავლო პროცესში.

1.5 კვლევის ამოცანა:

პროექტის ამოცანაა პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს:

- რამდენად უზრუნველყოფს საგაკვეთილო პროცესში ონლაინ რესურსების გამოყენება სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას?
- რამდენად უზრუნველყოფს საგაკვეთილო პროცესში ონლაინ რესურსების გამოყენება მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და სტიმულირებას?
- რამდენად უზრუნველყო სკოლამ მასწავლებელთა გადამზადება საჭირო უნარ-ჩვევების შესაძენად?
- რამდენად უზრუნველყო სკოლის ადმინისტრაციამ საკლასო ოთახების სრული კომპიუტერიზაცია და მისი ინტერნეტით უზრუნველყოფა?

თავი 2

პრაქტიკული კვლევის არსი :

-პრაქტიკული კვლევა გულისხმობს :

პრაქტიკული კვლევა გულისხმობს თანამშრომლობით, კოლექტიურ მიდგომას. თანამშრომლობითი მიდგომა ცვლილებისადმი წინააღმდეგობის გაწევის შემცირების ინსტრუმენტს წარმოადგენს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხდება გარკვეული ცვლილებების დანერგვა. თანამშრომლობითი პროგრამის საშუალებით პრაქტიკულ კვლევაში ჩართული პიროვნებები ერთ გუნდად ერთიანდებიან, პრობლემას თვალს

უსწორებენ, ერთმანეთს უზიარებენ მოსაზრებებს, იღებენ გადაწყვეტილებას, გაიაზრებენ პასუხისმგებლობას და აღწევენ სასურველ შედეგს.

თავი 3

ლიტერატურის მიმოხილვა :

აღნიშნულ კვლევაზე მუშაობის პერიოდში გავეცანიტ ქეთევან ტაბატაძის (3 აგვისტო 2015 წელი) სტატიას და მასში გამოყენებულ მასალას: მარინე ჯაფარიძე-კარლ როჯერსი- კითხვები, რომლებსაც დავუსვამთ საკუთარ თავს მასწავლებელი რომ ვიყო, სიახლეების არქივი 13 იანვარი, 2015.

მიუხედავად იმისა, რომ კარლ როჯერსი თავად არასდროს ყოფილა პრაქტიკოსი მასწავლებელი, მისი იდეები დიდ გავლენას ახდენს თანამედროვე განათლების მეთოდებსა და პრაქტიკაზე. მან შექმნა სწავლების საკუთარი კონცეფცია – პიროვნებაზე ცენტრირებული ალტერნატიული პედაგოგიკა, რასაც, ჩემი აზრით, ჩვენს რეალობაში შეიძლება დავუმატოთ ტერმინი:

“ტექნოლოგიური პედაგოგიკა”. როჯერსი გამოდის ტრადიციული პედაგოგიკის ზოგიერთი მიდგომის წინააღმდეგ და ყურადღებას სწავლების პროცესში გააზრებული შესწავლის მიზნით განხორციელებულ ფასილიტაციაზე ამახვილებს. ფასილიტაცია, როჯერსის აზრით, მოსწავლისათვის სწავლის პროცესის შემსუბუქება და სტიმულირებაა. სწორედ ამ ორი ფაქტორის (შემსუბუქება და სტიმულირება) ეფექტურობას ეფუძნება სწავლების მაღალი ხარისხი, იგივე ხარისხიანი განათლება. რა შეიძლება იყოს დღეს უფრო ეფექტური და ხელმისაწვდომი, ვიდრე სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება? ეს საკლასო ოთახში ემოციური და ინტელექტუალური გარემოს შექმნის უზრუნველყოფას, ასევე პედაგოგიური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ატმოსფეროს ჩამოყალიბებას ნიშნავს. როჯერსი განიხილავს მასწავლებელ-ფასილიტატორის სამ ძირითად მახასიათებელს:

1. მასწავლებლის “კონგრუენტულობა”, ანუ მისი “ნამდვილობა”. იგი გულისხმობს, რომ მოსწავლეებთან დამოკიდებულებაში მასწავლებელი უნდა იყოს ისეთი, როგორიც სინამდვილეშია.
2. “ნდობა”, “მიღება”, რაც ნიშნავს მასწავლებლის შინაგან თავდაჯერებულობას თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებსა და უნარებში, მათ უპირობო მიღებას;
3. „ემპათიური გაგება”. ეს არის მასწავლებლის უნარი, დაინახოს თითოეული მოსწავლის შინაგანი სამყარო.

კარლ როჯერსის აზრით, თუკი ეს სამი აუცილებელი შემადგენელი ელემენტი ერთობლივად არ არსებობს, მასწავლებელი, რბილად რომ ვთქვათ, არასასურველ გავლენას ახდენს მოსწავლის პიროვნებაზე, მის ფორმირებაზე. ამ კონტექსტში, ჩემი მცირედი პედაგოგიური გამოცდილებით, შევეცდები, პარალელები გავავლო სწავლა-სწავლების პროცესის დასახელებულ სამ ძირითად კომპონენტსა და ტექნოლოგიებით სწავლებით მნიშვნელობაზე.

დამეთანხმებით, რომ არა მხოლოდ მოსწავლეები, არამედ ზრდასრული ადამიანებიც კი, ხშირ შემთხვევაში, ვირტუალურ სამყაროში გაცილებით უკეთ წარმოაჩენენ საკუთარ “მე”-ს, ვიდრე პირისპირ, ცოცხალ ურთიერთობებში. მიმაჩნია, რომ ეფექტური მასწავლებელი მოსწავლეებთან ჯანსაღ ემოციურ დისტანციაზე ყოფნით ინარჩუნებს მეტ ობიექტურობას, აბალანსებს და განიხილავს ცალკეული მოსწავლის საჭიროებას კლასის საჭიროებებთან შესაბამისობაში. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა, არა მხოლოდ უკეთ გაერკვეს საჭიროებების არსში, არამედ მიაგნოს რეაგირების ინოვაციურ მეთოდებს და ამით ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სხვადასხვა უნარების განვითარებას, რომელთა შესახებაც დაწვრილებით ქვემოთ მოგახსენებთ.

გთავაზობთ კ.როჯერსის ერთ-ერთი გამოსვლიდან მცირე, მაგრამ ძალიან საინტერესო ნაწილს:

“არასოდეს ვყოფილვარ სკოლის მასწავლებელი და არც უნივერსიტეტის სტუდენტებთან მუშაობის დიდი გამოცდილება მაქვს. ამრიგად, ჩემთვის უცნობია ის სიტუაცია, რომელსაც თქვენ ყოველდღე საკლასო ოთახში პირისპირ ეჯახებით. ამიტომ, მე ავირჩიე შემდეგი გზა: შევეცადე, წარმომედგინა, თუ რა კითხვებს დავუსვამდი საკუთარ თავს, ნიჭიერი ან სრულიად ჩვეულებრივი ბავშვების მასწავლებელი რომ ვიყო.

კითხვა პირველი: “რას ნიშნავს იყო ბავშვი, რომელიც “არა პროგრამით”, არამედ თვითონ, დამოუკიდებლად სწავლობს რაიმეს.

ყველაზე ცოტა, რასაც გავაკეთებდი არის ის, რომ შევეცდებოდი გადამექცია სკოლა მეგობრულ სახლად, რომელშიც თითოეულ ბავშვს შეეძლებოდა საკუთარი სამყაროს შემოტანა”.

მიმაჩნია, რომ, აქ უკვე ტექნოლოგიების როლი და მისია ძალიან პროდუქტიული შეიძლება გახადოს მასწავლებელმა. ვფიქრობ, რომ წარმატებული მასწავლებელი უნდა იყოს ლიდერი, რომელიც შთააგონებს და მოტივაციას მისცემს მოსწავლეებს ძალდაუტანებლად. მასწავლებელს ესაჭიროება უნარი, მოერგოს ყველა სიტუაციას და შეძლოს მოსწავლეთა წახალისება, მხარდაჭერა და, რაც ყველაზე მთავარია, მოსწავლეებმა უნდა მიაღწიონ მანამდე

მათთვის წარმოუდგენელ შედეგებს. ამ მხრივ კი, ვფიქრობ, რომ ჩვენი დროების სამყაროში, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას ანალოგი არ აქვს. მოსწავლეთა უნარების განსავითარებლად ტექნიკების მრავალფეროვნება ძალიან მნიშვნელოვანია. სიახლე ყოველთვის იწვევს დაინტერესებას. ეს ნათლად გამოიკვეთა პროექტის ფარგლებში ჩატარებული აქტივობების დროს. მოსწავლეთათვის ახალმა საგანმანათლებლო აპლიკაციების აღმოჩენამ მათ მოტივაციაზე მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა მოახდინა (დეტალურად სტატიის დასასრულს მოგახსენებთ) და, რაც მთავარია, ეს მოხდა მასწავლებლის დახმარების გარეშე, ანუ მოხდა ტექნოლოგიების დამოუკიდებლად გამოყენების უნარის ხელშეწყობა.

როჯერსი, კითხვა მეორე: “გავხედავდი თუ არა ჩაკვეტილიყავი ჩემი მოსწავლეებისათვის, თუ ვიქნებოდი მათთვის ის, ვინც ვარ სინამდვილეში – ადამიანი, რომელმაც ხშირად რაღაც არ იცის, რომელიც ხშირად ყოყმანობს, ეშლება და ეძიებს? წავიდოდი თუ არა ასეთ რისკზე და რას მომცემდა ეს? ყოველთვის ვერ გავრისკავთ მასწავლებლის კვარცხლბეკიდან ჩამოსვლას და იმ ადამიანად გადაქცევას, რომელიც სწავლობს მათგან, ვისაც ასწავლის. თუმცა გულის სიღრმეში დარწმუნებული ვარ, რომ ასეც მოვიქცეოდი. მე წავიდოდი რისკზე და, სამაგიეროდ, მოიგებდა ყველა”.

მეც ასე მოვიქეცი, რადგან მიმაჩნია, რომ მასწავლებელი აუცილებლად გულდია და ჰუმანური უნდა იყოს. მანაც უნდა აღიაროს საკუთარი ნაკლოვანებები და თავისი უშუალოდით დაეხმაროს მოსწავლეებს, გამოხატონ საკუთარი ნება, იყვნენ გაბედულები და შეძლონ როგორც საკუთარი უნარებისა და ღირსებების წარმოჩენა, ასევე შეცდომების აღიარება. არ მრცხვენია ვაღიარო, რომ მიუხედავად ტრენინგზე ათვისებული ტექნიკებისა, ჩემმა მოსწავლეებმა ჩემზე უკეთ მოახერხეს ახალი ტექნოლოგიების გამოყენება საკლასო სივრცეში.

როჯერსი, კითხვა მესამე: “რა აინტერესებთ ჩემს მოსწავლეებს? შეიძლება ვცდები, მაგრამ მგონია, რომ არც ისე ძნელია გაიგო, რითი არის მოსწავლე დაინტერესებული ყველაზე მეტად. ეს შეიძლება გააკეთო პირდაპირ, უბრალოდ შეეკითხო, მას ან ირიბად. თუმცა, ყველაზე კარგია შექმნა შემოქმედებისა და ნდობის ისეთი ატმოსფერო, რომელშიც ეს ინტერესები გამომჟღავნდება ბუნებრივად”.

სწორედაც რომ მრავალფეროვანი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით ბუნებრივად ვლინდება მოსწავლეთა ინდივიდუალური მიდრეკილებები და ინტერესები საკლასო სივრცეში. უფრო მეტიც, ხდება კრეატიული და თანამშრომლობითი უნარების განვითარების ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში ჩატარებული შვიდივე აქტივობის დროს მოსწავლეები

თავად წყვეტდნენ, ვინ რას გააკეთებდა. მათ ჰქონდათ სრული ნდობა ჩემი მხრიდან, რაც ძალიან პროდუქტიული აღმოჩნდა. ინდივიდუალური უნარებისა და მიდრეკილებების შესაბამისად, თავად მოსწავლეები ინაწილებდნენ შესასრულებელ სამუშაოს: ზოგი მათგანი პოსტერს აფორმებდა შესაბამისი ნახატით, ზოგი – windows-ის მაღაზიაში ეძებდა თემატურ აპლიკაციას, ნაწილი ხატავდა ან წერდა და ა.შ. საბოლოო ჯამში, ფუნქციების მართებულად გადანაწილების შედეგად, მოხდა დროის ეფექტურად გამოყენება და ყველაზე მთავარი, ჩემი აზრით, გახლავთ ერთმანეთის აზრისა და ინტერესების პატივისცემა და გათვალისწინება. ასევე, მოსწავლეთა შორის ურთიერთსტიმულირება. მე კი, როგორც მათი მასწავლებელი, ძალიან თავისუფლად ვგრძნობდი თავს ფასილიტატორის როლში.

როჯერსი, კითხვა მეოთხე: “როგორ დავუჭიროთ მხარი და შევინარჩუნოთ ბავშვის ცნობისმოყვარეობა.

ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ სასკოლო სწავლების პერიოდში ბავშვები კარგავენ ინტერესს სწავლის მიმართ. ეს სასკოლო სწავლების ერთ-ერთი ყველაზე საგანგაშო მაჩვენებელია.

ერთხელ კალიფორნიის უნივერსიტეტის რექტორმა მითხრა, რომ მის მიერ ბავშვების შერჩევის ერთადერთი კრიტერიუმი ცნობისმოყვარეობა იქნებოდა.

აღნიშნული უნივერსიტეტის პროფესორი მწერს: “მინდა გაგიზიაროთ ჩემი ექსპერიმენტის გამოცდილება; ჯგუფში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო. ეს გახლდათ ყველაზე საუკეთესო კურსი, რომელიც ოდესმე ჩამიტარებია. სტუდენტების მუშაობა ისეთ მაღალ შემოქმედებით დონეზე წარიმართა, როგორსაც აქამდე იშვიათად შევხვედრივარ. დაიწყო აქტიური შემოქმედებითი მუშაობის ტალღა: ანგარიშები, ინფორმაცია, დამოუკიდებელი კვლევები, პროექტები და ა.შ. ეს ამაღლებული განწყობა გადაედოთ სხვა ჯგუფის სტუდენტებსაც. ისინი მოდიოდნენ ჩემს „ცდისპირებთან“ და თხოვდნენ გაეზიარებინათ მათთვის ახალი აღმოჩენებით გამოწვეული სიხარული. და რაც მთავარია, კარლ, არაჩვეულებრივად სასიამოვნო იყო იმ სიტუციაში ყოფნა, რომელშიც სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა ისე ესწავლათ, როგორც მათ მიაჩნდათ სწორად. და როგორ თავისუფლად ვგრძნობდი მე თვითონ თავს არა მასწავლებლის, არამედ იმ ადამიანის როლში, რომელიც ეხმარება მათ სწავლაში და თვითონაც სწავლობს მათგან!”

სწორედაც რომ მეც ბევრი დეტალი ვისწავლე ჩემი “Smart” მეექვსეკლასელი მოსწავლეებისგან და მეც გაცილებით თავისუფლად ვგრძნობდი თავს იმ გაკვეთილებზე, როდესაც პლანშეტ-ტრანსფორმერებს ვიყენებდით, რადგან ვხედავდი, რომ ყოველგვარი ტრენინგის (რაც საპილოტე პროექტის დაწყებამდე

მასწავლებლებს Microsoft-ის ტრენერების მიერ ჩაგვიტარდა) გარეშე როგორ მოხერხებულად ართმევდნენ თავს დავალებებს. ახალი თაობა ტექნოლოგიურად უფრო და უფრო წინ მიდის და ეს შეუქცევადი რეალობაა. მოსწავლეები ახალი ტექნოლოგიების სივრცეში თავს ძალიან კომფორტულად გრძნობდნენ. ამ დროს მე ვიყავი საგაკვეთილო პროცესის ფასილიტატორი, მიმართულების მიმცემი და დროის რეგულატორი. მიხაროდა, როცა ვხედავდი, როგორ მუშაობდნენ გუნდურად, წყვილებშიც, სიამოვნებით, სიცილით... ვაკვირდებოდი, როგორ ახერხებდნენ პროცესის დამოუკიდებლად წარმართვას, პერიოდული ადგილობრივი ტექნიკური შეფერხებების დამოუკიდებლად გადალახვას (მაგ: მოსწავლეებმა უცებ შეიმუშავეს ალტერნატიული გზა, როცა ინტერნეტის შეფერხება დაფიქსირდა: მათ სკოლის შენობის გვერდით არსებული კორპუსის ინტერნეტის პაროლით ისარგებლეს. ასევე, გამოიყენეს მობილური ტელეფონები Microsoft-ის მაღაზიაში მოძიებული აპლიკაციების Google-ის საძიებო სისტემაში არსებულ აპლიკაციებთან შედარება-განსხვავებულობის დადგენის მიზნით და სხვ.); მოსწავლეები გაიტაცა ასეთმა თვითრეგულირებულმა სასწავლო პროცესმა. და რაც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და სასიხარულო იყო. ვამჩნევდი, მათ ამ პროცესში (რომელიც შვიდი თვე გაგრძელდა) როგორ უვითარდებოდათ სხვადასხვა სახის ზოგადი უნარები, როგორიცაა: შედარება, ანალიზი, კვლევის უნარი, ურთიერთთანამშრომლობის უნარი, დროის მართვის უნარი და ა.შ. მათ სახეებზე ფიქსირდებოდა ახალი აღმოჩენებით გამოწვეული სიხარული, არ სურდათ გაკვეთილის დასრულების მაუწყებელი ზარის დარეკვა და იყვნენ გამორჩეულად მოტივირებულნი.

როჯერსი, კითხვა მეხუთე: “როგორ უზრუნველყოთ მოსწავლეთათვის ისეთი მასალის მიწოდება, რომელიც დააინტერესებს და გაიტაცებს მათ, უპასუხებს მათ მიდრეკილებებსა და შესაძლებლობებს, რომელიც უზრუნველყოფს კონკრეტული მოსწავლისათვის სასურველ თავისუფალ არჩევანს.

ეს ყველაზე სერიოზული პრობლემაა, რომელსაც კარგმა მასწავლებელმა მეცადინეობისთვის გამოყოფილი დროის 90% უნდა დაუთმოს. ვთვლი, რომ მნიშვნელოვანია შექმნა ისეთი სიტუაცია, რომელშიც ბავშვს არ შეუძლია არ ისწავლოს და მეტიც, გააკეთოს ეს სიამოვნებით. ერთ-ერთი გზა არის მდიდარი და ფანტაზიის განმავითარებელი მასალის შექმნა”.

მე ვფიქრობ, რომ, თუ ერთი მხრივ, ინტერნეტ-სივრცეში არსებული უკვე მზა აპლიკაციების, ცხრილების, დიაგრამებისა და სხვა საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება აღარ იძლევა მოსწავლეებში ფანტაზიის უნარის განვითარების შესაძლებლობას, მეორე მხრივ, პირიქითაც შეიძლება მოხდეს: უკვე

არსებული რესურსის საფუძველზე შეიქმნას ახალი რესურსი. კრეატიულ მიდგომას ხომ ჩარჩოები არ აქვს. მაგ. როდესაც ჩვენი ერთ-ერთი აქტივობის თემა იყო ინგლისურენოვანი იდიომები, მოსწავლეებმა საკუთარი ნახატებით გააფორმეს იდიომატური გამონათქვამები, მაშინ როცა აპლიკაციებში ამგვარი გაფორმება არ იყო მოცემული. მოსწავლეთა ეს მიდგომა იდიომების უკეთ ათვისების მიზნით ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა. მათ ნახატების მიხედვით მოახდინეს გამონათქვამების იდენტიფიცირება და მათი ცოდნა ამ გზით უფრო გამყარდა, განმტკიცდა და გახალისდა (მასალა შეგიძლიათ იხილოთ pilnetwork-ზე).

როჯერსი, კითხვა მეექვსე: “მაქვს თუ არა მე საკმარისი მოთმინება და ვაჟკაცობა იმისათვის, რომ მივეხმარო მოსწავლეს მისი შემოქმედებითი იდეების დაბადებაში?”

აქ რა შეიძლება იყოს უკეთესი ინსტრუმენტი, თუ არა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში. ონლაინ-რესურსების განახლებული მასალები ხომ ამოუწურავია, თუმცა ვფიქრობ, მოსწავლეს სჭირდება ორიენტირი, სად ეძებოს შესაბამისი ინტერნეტ-რესურსი. სწორედ ამ მხრივ იყო ძალიან სასარგებლო ამ პროექტში მონაწილეობა. ყოველი ახალი აქტივობა მომდევნო იდეას ქმნიდა, მოსწავლეებს ჰქონდათ არაერთი წინადადება, სურვილი, გეგმა. ზოგი მათგანი შევასრულეთ, ნაწილი კი ვეღარ, ფიზიკურად დრომ აღარ მოგვცა ამის საშუალება.

მე, ჩემი მხრივ, მაქსიმალურად ვცდილობდი, რომ ჩემს კლასში შექმნილიყო ურთიერთპატივისცემისა და თავისუფალი თვითგამოხატვის ატმოსფერო, რაც აუცილებლად მისცემს შემოქმედებით ადამიანს საშუალებას, შექმნას ნახატი, ილუსტრაცია, პოსტერი, გამოსცადოს ახალი სიტუაციები და არ ეშინოდეს იმისა, რომ ამისათვის გახდება განსჯის საგანი.

როჯერსი, კითხვა მეშვიდე: “შევძლებ თუ არა ჩემს მოსწავლეებში არა მარტო შემეცნებითი, არამედ გრძნობების სფეროში განვითარების უზრუნველყოფას?”

ყველას კარგად გვესმის, რომ სწავლების არსებული სისტემის ტრადედია ის გახლავთ, რომ წამყვანი და ძირითადი აქცენტი მხოლოდ ინტელექტუალურ განვითარებაზე კეთდება”.

მე ვისურვებდი, თუკი ვიქნებოდი მასწავლებელი, გამეკეთებინა ისე, რომ ჩემს კლასში სწავლება მიმდინარეობდეს ისე, რომ მან მოიცვას მთელი ადამიანი, მთელი მისი პიროვნება. ეს ძნელი, მაგრამ აუცილებელია”.

ვფიქრობ, ყოველი ახალი თემის/მიდგომის/აქტივობის ჩართვა სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა საკითხით დაინტერესების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორია. შესაბამისად, ახალი ტექნოლოგიური

საშუალებებით მუშაობამ, ინგლისურენოვანი მასალის ათვისება უფრო გაამარტივა და გააძლიერა. ტექნოლოგიურ სიახლეებთან ერთად, შემდგომში დაგეგმავთ ვცდილობდი, რომ მოსწავლეებს სხვა არასტანდარტული აქტივობებიც გამოეცადათ, რომ გარდა მათი ინტელექტუალური უნარების განვითარებისა, სხვა ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტების ხელშეწყობა მომხდარიყო. მაგალითისთვის გავიხსენებ “ლიმილების აქციას”. ეს იყო სრულიად განსხვავებული კლასგარეშე აქტივობა, როდესაც მოსწავლეებმა შეარჩიეს ინგლისურენოვანი მასტიმულირებელი ფრაზები (ძირითადად, ღიმილისა და ბედნიერების შესახებ), დაამუშავეს, სათითაოდ დაბეჭდეს, შესაბამისი ნახატებით გააფორმეს და სკოლის მასშტაბით გაავრცელეს. თუ შეიძლება ასე ითქვას, მათ სასკოლო აუდიტორიას პოზიტივი გადასცეს. ვფიქრობ, ამ აქტივობამ, ძირითადად, ხელი შეუწყო მათი საკომუნიკაციო უნარების განვითარებას, ასევე, კრეატიული აზროვნების ხელშეწყობას, ცოდნის ტრანსფერსა და თანამშრომლობას, რომ აღარაფერი ვთქვათ წმინდა ენობრივი კუთხით ცოდნის დონის ამაღლების ხელშეწყობაზე.

და ბოლოს, დასკვნის სახით შევეცდები, ჩემი მცირედი გამოცდილების საფუძველზე შევაჯამო თანამედროვე ტექნოლოგიების ელემენტების გამოყენების ეფექტი სასწავლო პროცესში როგორც მოსწავლეთა, ასევე მასწავლებლის პერსპექტივით/ხედვით.

პოზიტიური ეფექტები, რაც მოსწავლეთა შორის გამოიკვეთა:

- მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება;
- მრავალფეროვანი, განსხვავებული მეთოდების გამოყენებით თვითრეგულირებადი სასწავლო გარემოს შექმნა;
- კრეატიული აზროვნების განვითარების ხელშეწყობა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების კვალდაკვალ;
- ჯგუფური, ინდივიდუალური, თანამშრომლობითი და საკომუნიკაციო უნარების განვითარების ხელშეწყობა;
- ტექნოლოგიების მულტიფუნქციურობის გააზრება – ისტ-ის სასწავლო პროცესში აქტიური და ეფექტური გამოყენება;
- მოსწავლეთა მხრიდან ზოგადი ინტერესისა და მაღალი მოლოდინების (ახალი აქტივობების დაგეგმვის სურვილის არსებობა, რაც, ვფიქრობ, მასწავლებლისთვის ერთგვარი გამოწვევაა) არსებობა;
- ტექნოლოგიების დამოუკიდებლად გამოყენების უნარი უკეთესი შედეგების მიღწევის მიზნით;
- კვლევის უნარის ელემენტების, შედეგებისა და ანალიზის უნარების დახვეწის ხელშეწყობა;

- სხვისი აზრის პატივისცემისა და ფუნქციების გადანაწილების უნარის განვითარების ხელშეწყობა.

სიახლეები ჩემი, როგორც მასწავლებლის მხრიდან:

- მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და ინტერესების/მიდრეკილებების უკეთ წარმოჩენა;
- სასწავლო პროცესის ფასილიტატორის როლში ყოფნა;
- საგაკვეთილო დროის გადანაწილებისას ხშირი ცვალებადობა პრიორიტეტული აქტივობების შესაბამისად;
- განსხვავებული აქტივობების განხორციელების ინიცირება;
- თავისუფალი, თვითრეგულირებადი ატმოსფეროს შექმნა საკლასო სივრცეში;
- ისტ-ის გამოყენებით საშინაო დავალებების შესრულების ახალი მიდგომების სასწავლო პრაქტიკაში დანერგვა (მობილური ტელეფონების, ელ-ფოსტისა და პირწიგნაკის ჯგუფების აქტიურად გამოყენება);
- მოსწავლეთა და მშობელთა მხრიდან მეტი ჩართულობის, ნდობისა და პატივისცემის გამოვლენა მასწავლებლისადმი;
- კრეატიული უნარების განვითარების ხელშეწყობა;
- სიახლეებისადმი მიმდებლობა.

“ადამიანს გონებისკენ სამი გზა აქვს: აზროვნება – ყველაზე კეთილი, მიბაძვა – ყველაზე ადვილი, გამოცდილება – ყველაზე ძნელი”. (კონფუცი)

თავი 4

მეთოდოლოგია :

4.1 კვლევის სამიზნე ჯგუფი:

1. პედაგოგები
2. სკოლის ადმინისტრაცია

4.2 შერჩევა:

კვლევაში გამოყენებული იქნა შერჩევის ორი ტიპი:

სრული შერჩევა - საკვლევი პრობლემის შესასწავლად დაიგეგმა გამოკითხვის ჩატარება კითხვარების საშუალებით. კითხვარი განკუთვნილია პედაგოგებისთვის.

მიზნობრივი შერჩევა- კვლევის ფარგლებში ეს შერჩევა გამოვიყენე ინტერვიუს დროს, რომელიც განხორციელდა სკოლის ადმინისტრაციასთან, კერძოდ სკოლის დირექტორთან, რომლის მოვალეობაცაა სკოლის სრულ კომპიუტერიზაციაზე ზრუნვა. სკოლის პედაგოგებთან, რომლებმაც უნდა იზრუნონ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე და მათ სტიმულირებაზე საგაკვეთილო პროცესში.

4.3 მონაცემების შეგროვება:

კვლევის პროცესში მონაცემთა შეგროვება განხორციელდა შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

ჩადრმავებული ინტერვიუ- ინტერვიუ განხორციელდა სკოლის დირექტორთან, რამაც საშუალება მომცა უფრო დეტალური ინფორმაცია მიმეღო სკოლის საჭიროებების და შესაძლებლობების შესახებ სკოლის სრული კომპიუტერიზაციისათვის (ინტერნეტწვდომა). უზრუნველყოფს თუ არა საგაკვეთილო პროცესში ონლაინ რესურსების გამოყენება სწავლა-სწავლების გაუმჯობესებას? შეძლებს თუ არა უზრუნველყოს მასწავლებელთა გადამზადებას საჭირო უნარ-ჩვევების შესაძენად?

ფოკუსჯგუფი – ფოკუს ჯგუფი საშუალებით ჩამოვაყალიბე კითხვარი, რომელიც განკუთვნილი იყო სკოლის პედაგოგების გამოკითხვისათვის. ფოკუს ჯგუფი შედგებოდა საკვლევი კომისიის წევრებისაგან. ამ მეთოდის გამოყენების მიზანი იყო, დაგვედგინა პედაგოგების ზოგადი აზრი ონლაინ რესურსების გამოყენების მნიშვნელობაზე და სირთულეებზე საგაკვეთილო პროცესში.


გამოკითხვა – აღნიშნულ მეთოდს მივმართეთ, რათა პასუხი მიგვეღო მნიშვნელოვან კითხვებზე: რა ღირებულება აქვს ონლაინ რესურსების გამოყენებას საგაკვეთილო პროცესში; არსებობს თუ არა სხვა ალტერნატიული მეთოდი მოსწავლეთა სტიმულირებისა და მოტივაციის ამაღლებისათვის საწავლო პროცესში; რა სიახლეების დანერგვაა საჭირო ამისათვის; იქნება თუ არა ის ზედმეტი ტვირთი მასწავლებლისათვის.

1. თქვენი აზრით, აუცილებელია თუ არა ონლაინ რესურსების გამოყენება გაკვეთილზე? 15

ა) კი 9

ბ) არა 0

გ) ნაწილობრივ 6




2. რამდენად ხშირად იყენებთ ონლაინ რესურსებს საგაკვეთილო პროცესში

ა) ხშირად 4

ბ) იშვიათად 10

გ) არ ვიყენებ 0




3. ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ ონლაინ რესურსების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში ზოგადად ეფექტურია?

ა) კი 9

ბ) არა 0

გ) ნაწილობრივ 6




4. თქვენი აზრით, საგაკვეთილო პროცესში ონლაინ რესურსების ეფექტურად გამოყენებით მასწავლებელი გავა თუ არა შედეგზე?

ა) კი 4

ბ) არა 3

გ) იშვიათად 8




5. როგორ ფიქრობთ, ონლაინ რესურსები იქნება დამხმარე საშუალება საგაკვეთილო პროცესში?

ა) კი 12

ბ) არა 0

გ) ნაწილობრივ 3




8. გაკვეთილის რომელ ფაზაში იყენებთ ონლაინ რესურსებს? (შეგიძლიათ მიუთითოთ რამოდენიმე პასუხი)

ა) გამოწვევის ფაზა 14

ბ) გამოკითხვა 9

გ) ახალი მასალის ახსნის 14

დ) შემაჯამებელი სამუშაო შესასრულებლად 0



მეორადი მონაცემების ანალიზი- მეორადი მონაცემების დამუშავება გულისხმობს აქამდე არსებული სწავლების მეთოდით მოსწავლეთა მოტივაციის შესწავლას.

შერჩევა -მიზნობრივი. მიზნობრივი შერჩევისას გარკვეული მიზნით დავესწარით რამოდენიმე გაკვეთილს.

4.4 პროექტის მონაწილე მხარეები და მათი პასუხისმგებლობები:

სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები:

- კვლევის ჯგუფის წევრების შერჩევა
- კვლევის ინსტრუმენტების შემუშავება (ფოკუსჯგუფი, კითხვარი)
- გამოკითხვა
- გამოკითხვის შედეგების ანალიზი
- ინტერვეციის დაგეგმვა
- ინტერვენციის შედეგების ანალიზი
- პროექტის ვადების დაცვა
- შედეგების გაცნობა სკოლისათვის

4.5 კვლევის ვადები:

აქტივობა	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
სკოლისა და საკვლევი პრობლემის შერჩევა	X								
შეხვედრა სკოლის დირექტორთან, პრობლემის იდენტიფიცირება	X								
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება	X								
ინტერვიუ სკოლის დირექტორთან	X							X	
საკვლევი ჯგუფის შერჩევა		X							
შეხვედრები კვლევის ჯგუფთან	X		X		X	X	X		
მეორადი მონაცემების შეგროვება	X								

მეორადი მონაცემების ანალიზი	X								
ფოკუსჯგუფი კვლევის ჯგუფთან კითხვარის შედგენისთვის		X							
კითხვარის შედგენა, დამუშავება		X							
გამოკითხვა		X							
მიღებული შედეგების ანალიზი			X						
სავარაულო ინტერვენციების განხილვა				X					
ინტერვენციის განხორციელება				X	X				
ინტერვენციის შედეგების ანალიზი							X		
პრეზენტაცია სკოლასში, შედეგების გაცნობა									X

თავი 5

კვლევის შედეგები:

5.1 გამოკითხვის შედეგების ანალიზი:

სკოლაში პედაგოგების გამოკითხვის მიზანი იყო დაგვედგინა, თუ რა ღირებულება აქვს მათთვის საგაკვეთილო პროცესში ისტ-ის გამოყენებას, ონლაინ რესურსების მოძიებას და პრობლემების წინაშე დგანან პედაგოგები და როგორ წარმოუდგენიათ აღნიშნული პრობლემების მოგვარების გზები.

პედაგოგების 80% ფიქრობს, რომ საგაკვეთილო პროცესში ისტ-ის გამოყენება, ონლაინ რესურსების მოძიება აამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას, მათ დაინტერესებას და ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურობას. თუმცა მათ არ მიაჩნიათ რომ მათი გამოყენება ყოველდღიურად აუცილებელია. 20% კი მიიჩნევს, რომ ეფექტური გაკვეთილის ჩატარება და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება ონლაინ რესურსების გარეშეც შესაძლებელია. ორივე მხარე თანამდებარე იმაზე, რომ სკოლაში არსებობს კომპიუტერიზაციის კერძოდ, კლასებში ინტერნეტის დეფიციტი. მასწავლებლები, რომლებიც ფლობენ ასეთი გაკვეთილის ჩასატარებლად უნარ-ჩვევებს და მიაჩნიათ, რომ ღირეცია უნდა იზრუნოს სკოლის

მოდერნიზირებაზე, კლასების უზრუნველყოფაზე ინტერნეტით და მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე ამ საკითში.

5.2 მეორადი მონაცემების ანალიზი :

პრობლემის შესწავლის მიზნით, კვლევის ერთ-ერთ მეთოდად გამოვიყენეთ მეორადი მონაცემების ანალიზი, კერძოდ ადმინისტრაციის რეკომენდაციის საფუძველზე, მიზნობრივი შერჩევით შევარჩიეთ ოთხი პედაგოგის საგაკვეთილო პროცესი. მათ შორის ორი პედაგოგის გაკვეთილებზე გამოყენებული იყო ონლაინ რესურსები, ხოლო ორი პედაგოგი გაკვეთილს ატარებდა თანამედროვე მეთოდებით ონლაინ რესურსების გარეშე.

ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი პრობლემური საკითხები:

1. მასწავლებლები, რომლებიც იყენებდნენ ონლაინ რესურსებს გაცილებით მეტ დროს უთმობდნენ გაკვეთილის დაგეგმვას, მასალის მოძიებას და საკლასო ოთახის შესაბამისად აღჭურვას. ისინი იყენებდნენ საკუთარი ტელეფონიდან გაზიარებულ ინტერნეტს.
2. იმ გაკვეთილებზე, სადაც არ იყო გამოყენებული ონლაინ რესურსები, მოსწავლეები ნაკლებ მოტივირებულები იყვნენ, ჯგუფური მუშაობის დროს შეინიშნებოდა გაცილებით მეტი პასიური მოსწავლე, ვიდრე ონლაინ რესურსებით ჩატარებულ გაკვეთილზე.

თავი 6

ინტერვენციის აღწერა და მისი შედეგები:

6.1--ინტერვენცია

ინტერვენციის საწყის ეტაპს წარმოადგენდა სამუშაო შეხვედრას სკოლის დირექტორთან. შეხვედრა მიზნად ისახავდა სკოლაში არსებული პრობლემების განხილვას. სკოლის დირექტორის რეკომენდაციით შეირჩა კვლევის ჯგუფი, კვლევის ჯგუფის მიერ შემუშავებული იქნა კითხვარი პედაგოგებისათვის. გამოკითხვის შემდეგ, დირექტორის უზრუნველყოფით ჯგუფი შეხვდა მოტივირებულ და აქტიურ პედაგოგებს უცხო ენისა და ფილოლოგიის კათედრებიდან, რომლებიც ერთი თვის განმავლობაში გაკვეთილებს ჩატარებდნენ ზემოთ აღნიშნული ორი მეთოდით.

6.2 ინტერვენციის შეფასების მეთოდები:

ინტერვენციის შეფასებისას გამოვიყენეთ:

- **ინტერვიუ დირექტორთან.** ინტერვიუ მიზნად ისახავდა გაგვეგო დირექტორის მოსაზრება ინტერვენციებთან დაკავშირებით. კერძოდ: როგორ მოახერხებდა სკოლაში ამ საკითხთან არსებული პრობლემების გადაჭრას.

- ფოკუს ჯგუფი კვლევის მონაწილეებთან:

ფოკუს ჯგუფი მიზნად ისახავდა კვლევის ჯგუფის წევრების მოსაზრების დადგენას პრაქტიკული კვლევის სრული პროცესის შესახებ.

6.3 ინტერვენციის შედეგები:

ინტერვენციის ფარგლებში ორ მასწავლებელს, ერთი თვის განმავლობაში უნდა ემუშავათ ონლაინ რესურსების გამოყენებით, <http://www.cueprompter.com>

<http://l.georges.online.fr/tools/cloze.php>

<http://www.wordclouds.com/> <http://www.polleverywhere.com>

<https://create.kahoot.it/l/#user/f739450d-0bc2-4fc0-9115-ec97b10bb33d/kahoots/created>

ხოლო მეორე წევრს თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ონლაინ რესურსების გარეშე.

ინტერვენციის ფარგლებში მასწავლებლებს ორ-ორჯერ დავესწარით გაკვეთილებზე.

იმ პედაგოგებმა, რომლებმაც არ გამოიყენეს ონლაინ რესურსები, გამოყვეს

რამოდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი:

1. საგაკვეთილო პროცესში ონლაინ რესურსების გამოყენება მოითხოვდა მათი კომპიუტერული უნარების გაუმჯობესებას, ანუ თავის მხრივ ტრენინგებზე სიარულს რაც დროსთან იყო დაკავშირებული.
2. ონლაინ რესურსების გამოყენება მასწავლებლისთვის იყო დამატებითი შრომა, რომელიც საგაკვეთილო პროცესის ხარისხს მნიშვნელოვნად არ შეცვლიდა და ვერ უზრუნველყოფდა მოსწავლეთა მოტივირებას.

პედაგოგების მეორე წევრისთან ინტერვიუს დროს მნიშვნელოვანი საკითხი იყო ადმინისტრაციის მხარდაჭერა, საკლასო ოთახების უზრუნველყოფა ინტერნეტითა და კომპიუტერით. მათ დააფიქსირეს საკუთარი მოსაზრება იმის შესახებ, რომ გაკვეთილის ჩატარება მათ უხდებოდათ საკუთარი ლეპტოპებისა და ინტერნეტის გამოყენებით, რაც ქმნიდა გარკვეულ სირთულეებს.

ინტერვენცია სკოლაში სასწავლო წლის დასაწყისში მოხდა. პედაგოგებს ბევრ სამუშაოსთან ერთად დროის რესურსიც საკმაოდ ჰქონდათ. ფოკუს ჯგუფმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში მოტივირებისა და დაინტერესების

მიზნით, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ონლაინ რესურსების გამოყენება საუკეთესო საშუალებაა თუნდაც თვეში ერთხელ. მაგრამ ამისათვის ორი აუცილებელი რამ იყო საჭირო: ადმინისტრაციის მხარდაჭერა, რომ საკლასო ოთახები აღეჭურვათ შესაბამისად და მასწავლებელთა უფასო ტრენინგებით უზრუნველყოფა.

6.4 ინტერვენციის შეფასება- კვლევის ჯგუფი

ინტერვენციის დასრულების შემდეგ კვლევის ჯგუფს ბოლოჯერ შევხვდით. შეხვედრის მიზანი ჯგუფის წევრების მიერ ინტერვენციის შეფასება იყო. თავდაპირველად პედაგოგებს ვთხოვეთ გამოეთქვათ მოსაზრება კვლევის საკითხთან დაკავშირებით. მათი აზრით საგაკვეთილო პროცესის ორივე ფორმა ზრდის მოსწავლეთა მოტივირებასა და ჩართულობას, თუ მასწავლებელი არის მობილიზებული და შესაფერისად აღჭურვილი. გაკვეთილის ორივე ფორმას ქონდა ნაკლოვანება. ონლაინ რესურსებით ჩატარებულ გაკვეთილებზე მასწავლებელს შესაფერისი აღჭურვილობის არ ქონის გამო დაჭირდა მეტი ძალისხმევა, დამატებითი აღჭურვილობების მოძიება და ის უფრო დამაბული იყო, თუმცა მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა შეიძლება შეფასდეს მაქსიმალური ქულით. გაკვეთილების მეორე ტიპი ჩატარდა გაცილებით მშვიდ გარემოში მასწავლებლისათვის ყველა საჭირო რესურსი არ საჭიროებდა დამატებით ძალისხმევას, ის აბსოლუტურად მორგებული იყო არსებულ საკლასო ოთახებს, თუმცა შეინიშნებოდა მოსწავლეთა ნაკლები ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში.

თავი 7

მიგნებები, რეკომენდაციები და კვლევის ნაკლოვანებები

7.1 მიგნებები:

1. პედაგოგები ნაკლებად მიიჩნევენ საგაკვეთილო პროცესში ონლაინ რესურსების არსებობის აუცილებლობას.
2. კარგად აღჭურვილი მოდერნიზირებული თანამედროვე საკლასო ოთახი არის არა მარტო მოსწავლის, არამედ თვითონ პედაგოგის მოტივაციის გაზრდის წინაპირობა.

7.2 რეკომენდაციები

საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა მოტივაციის, მათი ჩართულობის და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დირექციამ უნდა უზრუნველყოს

მასწავლებელთა კომპიუტერული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება, მათი უზრუნველყოფა ტრენინგებით და უახლოეს მომავალში თუნდაც ერთი საკლასო ოთახის უზრუნველყოფა ინტერნეტითა და ონლაინ რესურსებით გაკვეთილის ჩატარებისათვის ყველა საჭირო მოწყობილობით აღჭურვა.

7.3 თვითკრიტიკა

კვლევის ჯგუფის შერჩევა - კვლევის ჯგუფის წევრები ჩემს მიერ შეირჩა. ვფიქრობთ უკეთესი იქნებოდა, კვლევის ჯგუფის შექმნამდე საკვლევი საკითხი გამეცნო სკოლის ყველა პედაგოგისათვის და მხოლოდ კვლევაში მონაწილეობის მსურველი პედაგოგებით ჩამოგვეყალიბებინა კვლევის ჯგუფი.

ამ შემთხვევაში კვლევის ინიციატორი ვიყავი მე, რაც განაპირობებს მხოლოდ ერთი პირის მაღალ ჩართულობასა და ინტერესს. რაც შეეხება მასწავლებლების დამოკიდებულებას, ინიციატივა მათგან არ მოდიოდა და საკუთარ თავს მხოლოდ გარკვეული დავალების შემსრულებლად მოიაზრებდნენ.

მონაცემთა შეგროვება - კვლევის პროცესში დაგეგმილი დაკვირვებები სასურველი იქნებოდა გაგვენხორციელებია ქალაქის იმ საჯარო სკოლაში, რომელსაც საკლასო ოთახები აღჭურვილი აქვს ინტერნეტიტა და კომპიუტერებით, რაც მეტი ინფორმაციის მოპოვების საშუალებას მოგვცემდა. მაგრამ, რადგანაც ფოკუს ჯგუფში შემავალ პედაგოგებს საათობრივი დატვირთვა საშუალებას არ აძლევდა მათ გამოთავისუფლებული ჰქონოდათ კვირაში თუნდაც ერთი დღე დაგეგმილი დაკვირვების ჩასატარებლად და არც ვფლობდით მსგავს ინფორმაციას, არის თუ არა ქალაქში ამ ტიპის სკოლა საერთოდ არ გვიფიქრია ასეთი პარალელის გავლებაზე.

რეკომენდაციები:

თუ გვინდა სწავლა-სწავლევების ხარისხის ამაღლება მოსწავლეთა მოტივირება და ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, პირველ რიგში პედაგოგმა უნდა იზრუნოს საკუთარი კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების დახვეწასა და გაუმჯობესებაზე; ზემოთ აღწერილი პრობლემების ერთობლივი გადაჭრა შესაძლებელია სკოლაში გაკვეთილის შესწავლის (Lesson Study) პრაქტიკის დანერგვით. გაკვეთილის შესწავლის მეთოდი მოიაზრებს პედაგოგებს შორის თანამშრომლობის კულტურის გაუმჯობესებას, პრობლემის გადაჭრის გზების ერთობლივ ძიებას და სიახლეების დანერგვას. ამ პროცესს უნდა ახლდეს ადმინისტრაციის მხრიდან მხარდაჭერა და ხელშეწყობა. ვინაიდან სკოლაში დაიწყო კათედრების ყოველკვირეული შეხვედრები, ეს ნიშნავს, რომ პროცესი საწყის ფაზაშია და არსებობს იმის საფუძველი, რომ აღნიშნული პრაქტიკა დაინერგოს.

დასკვნა:

სკოლაში განხორციელდა პრაქტიკული კვლევა. აღნიშნული კვლევის მიზანი იყო საგაკვეთილო პროცესში ონლაინ რესურსების გამოყენება და მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები. კვლევის ფარგლებში შეიქმნა კვლევის ჯგუფი, კვლევის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებისა და ანალიზის შედეგად სკოლაში განხორციელდა ინტერვენცია; რომლის მიზანიც იყო ორი ტიპის გაკვეთილზე მოსწავლეთა მოტივაციის და ჩართულობის გამოვლინება. სტრუქტურული ცვლილებების მიზანი იყო პედაგოგთა საჭიროებების გამოვლინება და გაუმჯობესება. კვლევის განმავლობაში მიღებულ შედეგებზე და მიგნებებზე დაყრდნობით შევიმუშავეთ რეკომენდაციები, რომლებიც ადმინისტრაციას გავაცანით. სკოლის დირექტორმა გაიზიარა კვლევის ფარგლებში გამოვლენილი ნაკლოვანებები და დაგვპირდა, რომ მაქსიმალურად შეეცდებოდა მათ აღმოფხვრას სკოლის ინტერესებიდან გამომდინარე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1 ქეთევან ტაბატაძის (3 აგვისტო 2015 წელი) , მარინე ჯაფარიძე- კარლ როჯერსი- კითხვები, რომლებსაც დავუსვამთ საკუთარ თავს მასწავლებელი რომ ვიყო, სიახლეების არქივი 13 იანვარი, 2015.
- 2 <http://www.teachhub.com/top-12-ways-motivate-students>
- 3 <https://www.teachingenglish.org.uk/blogs/alexenoamen/ways-motivating-efl-esl-students-classroom>

კითხვარი პედაგოგებისათვის

1. თქვენი აზრით, აუცილებელია თუ არა ონლაინ რესურსების გამოყენება გაკვეთილზე? 15

ა) კი

ბ) არა

გ) ნაწილობრივ

2. რამდენად ხშირად იყენებთ ონლაინ რესურსებს საგაკვეთილო პროცესში

ა) ხშირად

ბ) იშვიათად

გ) არ ვიყენებ

3. ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ ონლაინ რესურსების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში ზოგადად ეფექტურია?

ა) კი

ბ) არა

გ) ნაწილობრივ

4. თქვენი აზრით რა აქვს დადებითი ონლაინ რესურსების საგაკვეთილო პროცესში გამოყენებას?

5. თქვენი აზრით, რა არის უარყოფითი ონლაინ რესურსების საგაკვეთილო პროცესში გამოყენებისას?

6. თქვენი აზრით, საგაკვეთილო პროცესში ონლაინ რესურსების ეფექტურად გამოყენებით მასწავლებელი გავა თუ არა შედეგზე?

ა) კი

ბ) არა

გ) იშვიათად

7. როგორ ფიქრობთ, ონლაინ რესურსები იქნება დამხმარე საშუალება საგაკვეთილო პროცესში?

ა) კი ბ) არა გ) ნაწილობრივ

8. გაკვეთილის რომელ ფაზაში იყენებთ ონლაინ რესურსებს? (შეგიძლიათ მიუთითოთ რამოდენიმე პასუხი)

ა) გამოწვევის ფაზა ბ) გამოკითხვა

გ) ახალი მასალის ახსნის დ) შემაჯამებელი სამუშაოს შესასრულებლად

რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარების შესახებ

სსიპ ქ. ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლაში ჩავატარე პრაქტიკის კვლევა „საგაკვეთილო პროცესში ონლაინ რესურსების გამოყენება.“

აღნიშნული კვლევის მიზანი იყო საგაკვეთილო პროცესში ონლაინ რესურსების გამოყენება და მათთან დაკავშირებული პრობლემები. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა არა მხოლოდ უკეთ გაერკვეს საჭიროების არსში, არამედ მიაგნოს ინოვაციურ მეთოდებს და ამით ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სხვადასხვა უნარების განვითარებას და მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და მათ სტიმულირებას სასწავლო პროცესში.

პროექტის ამოცანა იყო მიგვეღო პასუხი შემდეგ კითხვებზე:

- რამდენად უზრუნველყოფს საგაკვეთილო პროცესში ონლაინ რესურსების გამოყენება სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას?
- რამდენად უზრუნველყოფს საგაკვეთილო პროცესში ონლაინ რესურსების გამოყენება მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და სტიმულირებას?
- რამდენად უზრუნველყოფს სკოლა მასწავლებელთა გადამზადებას საჭირო უნარ-ჩვევების შესაძენად?
- რამდენად უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია საკლასო ოთახების სრული კომპიუტერიზაციასა და მისი ინტერნეტით უზრუნველყოფას?

კვლევის სამიზნე ჯგუფი იყო პედაგოგები და სკოლის ადმინისტრაცია. კვლევაში გამოყენებული იქნა შერჩევის ორი ტიპი:

სრული შერჩევა - საკვლევი პრობლემის შესასწავლად დაიგეგმა გამოკითხვის ჩატარება კითხვარების საშუალებით. კითხვარი განკუთვნილია პედაგოგებისთვის.

მიზნობრივი შერჩევა- კვლევის ფარგლებში ეს შერჩევა გამოვიყენე ინტერვიუს დროს, რომელიც განხორციელდა სკოლის ადმინისტრაციასთან, კერძოდ სკოლის დირექტორთან, რომლის მოვალეობაცაა სკოლის სრულ კომპიუტერიზაციაზე ზრუნვა. სკოლის პედაგოგებთან, რომლებმაც უნდა იზრუნონ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე და მათ სტიმულირებაზე საგაკვეთილო პროცესში.

კვლევის პროცესში მონაცემთა შეგროვება განხორციელდა შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

ჩადრმავებული ინტერვიუ- ინტერვიუ განხორციელდა სკოლის დირექტორთან, რამაც საშუალება მომცა უფრო დეტალური ინფორმაცია მიმეღო სკოლის საჭიროებების და შესაძლებლობების შესახებ სკოლის სრული კომპიუტერიზაციისათვის (ინტერნეტწვდომა).

ფოკუს-ჯგუფი - ფოკუს ჯგუფი საშუალებით ჩამოვაყალიბე კითხვარი, რომელიც განკუთვნილი იყო სკოლის პედაგოგების გამოკითხვისათვის. ამ მეთოდის გამოყენების მიზანი იყო, დაგვედგინა პედაგოგების ზოგადი აზრი ონლაინ რესურსების გამოყენების მნიშვნელობაზე და სირთულეებზე საგაკვეთილო პროცესში.

გამოკითხვა - აღნიშნულ მეთოდს მივმართეთ, რათა პასუხი მიგვეღო მნიშვნელოვან კითხვებზე: რა ღირებულება აქვს ონლაინ რესურსების გამოყენებას საგაკვეთილო პროცესში;

არსებობს თუ არა სხვა ალტერნატიული მეთოდი მოსწავლეთა სტიმულირებისა და მოტივაციის ამაღლებისათვის საწავლო პროცესში; რა სიახლეების დანერგვაა საჭირო ამისათვის; იქნება თუ არა ის ზედმეტი ტვირთი მასწავლებლისათვის.

კვლევის განმავლობაში მიღებულ შედეგებზე და მიგნებებზე დაყრდნობით შევიმუშავეთ რეკომენდაციები, რომლებიც ადმინისტრაციას გავაცანით. სკოლის დირექტორმა გაიზიარა კვლევის ფარგლებში გამოვლენილი ნაკლოვანებები და დაგვიპირდა, რომ მაქსიმალურად შეეცდებოდა მათ აღმოფხვრას სკოლის ინტერესებიდან გამომდინარე.

კვლევა გრძელდებოდა 2017-2018 სასწავლო წლის მანძილზე. პრობლემის შესწავლის მიზნით შევარჩიე გაკვეთილები სადაც გამოყენებული იყო ონლაინ რესურსები და გაკვეთილები, რომლებიც ჩატარდა თანამედროვე მეთოდებით ონლაინ რესურსების გარეშე. ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი პრობლემური საკითხები: 1. მასწავლებლები, რომლებიც იყენებდნენ ონლაინ რესურსებს გაცილებით მეტ დროს უთმობდნენ გაკვეთილის დაგეგმვას, მასალის მოძიებას და საკლასო ოთახის შესაბამისად აღჭურვას. ისინი იყენებდნენ საკუთარი ტელეფონიდან გაზიარებულ ინტერნეტს.

2. იმ გაკვეთილებზე, სადაც არ იყო გამოყენებული ონლაინ რესურსები, მოსწავლეები ნაკლებ მოტივირებულები იყვნენ, ჯგუფური მუშაობის დროს შეინიშნებოდა გაცილებით მეტი პასიური მოსწავლე, ვიდრე ონლაინ რესურსებით ჩატარებულ გაკვეთილზე.

მიღებული შედეგი დადებითია და ვთვლიდი, რომ შეიძლებოდა მისი კოლეგებთან გაზიარება, რომელიც განვახორციელე სლაიდშოუს პრეზენტაციის საშუალებით პედაგოგიური საბჭოს N5 სხდომაზე (12.06.2018).

კვლევის შედეგების გაზიარება კოლეგებისათვის არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა. კოლეგებს გავაცანი ერთ-ერთი გაკვეთილის გეგმა, სადაც გამოყენებული იყო ონლაინ რესურსები. ისინი დაინტერესდნენ ჩემს მიერ შეთავაზებული ონლაინ რესურსებით, გაიზიარეს ვებგვერდების მისამართები. იყო შეკითხვები, რომლებზედაც შევეცადე გამეცა ამომწურავი პასუხები. რა თქმა უნდა იყო პედაგოგები, რომლებიც ნაკლებად მიიჩნევენ საგაკვეთილო პროცესში ონლაინ რესურსების არსებობის აუცილებლობას. თუმცა შევთანხმდით, რომ თუ გვინდა სწავლა-სწავლევის ხარისხის ამაღლება მოსწავლეთა მოტივირება და ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, პირველ რიგში პედაგოგმა უნდა იზრუნოს საკუთარი კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების დახვეწასა და გაუმჯობესებაზე; ზემოთ აღწერილი პრობლემების ერთობლივი გადაჭრა შესაძლებელია სკოლაში გაკვეთილის შესწავლის (Lesson Study) პრაქტიკის დანერგვით.



/ ნ. გრძელიძე /

14.06.2018